



განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
CENTER FOR DEVELOPMENT AND DEMOCRACY

10 მარტი, 2020 წელი

განცხადება

მიმდინარე საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესებთან

დაკავშირებით

მივესალმებით ქვეყნის პოლიტიკურ აქტორებს შორის მოლაპარაკების კონსენსუსით დასრულებას და საარჩევნო სისტემაზე მიღწეულ შეთანხმებას, რაც წარმოადგენს პოლიტიკური პროცესის დასტაბილურების და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების წინაპირობას. ხაზგასასმელია ფასილიტატორების პოზიტიური როლი აღნიშნული პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევის პროცესში.

შეთანხმებით მიღწეული პირობების დაცვა და საკანონმდებლო ცვლილებების დროულად განხორციელება უდავოდ შეამცირებს საზოგადოებაში არსებულ დამაბულობას და ჩართულ მხარეებს მისცემს შესაძლებლობას გადავიდნენ წინასაარჩევნო მზადების რეჟიმში.

იმისათვის, რომ ყველა ამომრჩეველმა განახორციელოს საკუთარი უფლება მნიშვნელოვანია შესაბამისმა ორგანოებმა მიიღონ ეფექტური ზომები, რათა მოხერხდეს საკანონმდებლო ცვლილებების ხარვეზების გარეშე იმპლემენტაცია და ამომრჩეველთა სათანადო ინფორმირება.

ამავდროულად მნიშვნელოვანია საარჩევნო კანონმდებლობაში განსახორციელებელ ცვლილებებში გათვალისწინებულ იქნას ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისისა (OSCE/ODIHR) და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წინა წლებში გაცემული რეკომენდაციები, რაც უზრუნველყოფს საარჩევნო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას და არჩევნების უფრო მეტად თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარებას.

მოვუწოდებთ საარჩევნო პროცესში ჩართულ ყველა მხარეს თანამშრომლობისკენ და გამოთქვამთ მზაობას აქტიური მონაწილეობა მივიღოთ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის პროცესში.

Statement

Regarding ongoing electoral and political processes

We welcome agreement and the consensus reached between the country's political actors on the electoral system, that is a precondition for stabilizing the political processes and improving the electoral environment in Georgia. The positive role of facilitators in the process of reaching this political consensus must be noted. Fulfilling the terms of the reached agreement and implementing legislative changes on time, will undoubtedly reduce tension in our society and will enable parties involved in this political dialogue to move to pre-election period. In order to exercise every voter's right to vote, it is important, for the relevant authorities to take measures to ensure that changes in implementation process of electoral law and proper voter awareness campaigns are in progress without any difficulties.

At the same time, when making electoral legislation changes, it is important to take into consideration the recommendations given by OSCE / ODIHR and local observer organizations in previous years. We call on all parties involved in the electoral processes for cooperation and express our willingness to take an active part in improving the electoral environment and in the process of reforming electoral law.